ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ N03

თბილისი **12 თებერვალი 2021 წ.**

1. ხელშეკრულებისდამდებიმხარეები

1.1. ერთიმხრივ, შ.პ.ს. „ ქ. თბილისის #3 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი“ (შემდგომში - შემსყიდველი), მისი გენერალური დირექტორის ნანა შარაშენიძის სახით და მეორისმხრივ „შპს ბიოლენდი „ დირექტორის ლევან შეროზიას სახით (შემდგომში მიმწოდებელი)

2. ხელშეკრულების საგანი დახელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგანია **სახელმწიფო შემოსავლის ფარგლებში CPV : 33600000 საოფისე მანქანა ფარმაცევტული პროდუქტები.**

მ.შ. 33696000 - რეაქტივები და კონტრასტული ნივთიერებები .

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება : 3000.00 (სამი ათასი ლარი და 00 თეთრი)

2.3.ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. ვადები:

3.1.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება კვარტალურად , შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მოთხოვნიდან 10(ათი) დღის განმავლობაში -2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. ადგილი:

3.2.1. თბილისი,ბ.პაიჭაძის ქ.N1

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4.2. მიწოდებულ საქონელზე ანაზღაურება იწარმოება მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედდებულის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 15(თხუთმეტი)კალენდარულ დღეში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მოწოდება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერით. მიმწოდებელი არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში წარუდგენს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს .

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. “მიმწოდებელი” ვალდებულია:

6.1.1.უზრუნველყოს შესყიდული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

6.1.2.გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

6.1.3. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
6.2.1.უზრუნველყოს `მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15(თხუთმეტი)კალენდარული დღისა.

7. მხარეთა უფლება

7.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:
7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.
7.2. შემსყიდველს უფლება აქვს:
7.2.1. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
8.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

9.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი თვით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით 0,01%-ის ოდენობით.
12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

13. ინსპექტირების პირობები
13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს გენერალური დირექტორინ.შარაშენიძე

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.
14.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
14. განსაკუთრებული პირობები
14.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
14.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.
15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები.

შემსყიდველი:

შ.პ.ს. „ქ.თბილისის N3 სამკურნალო
პროფილაქტიკური ცენტრი”
საიდენტიფიკაციოკოდი N:202051670
საქართველო,ქ.თბილისი-ბ.პაიჭაძის-ქ. N1-დიღმის მასივი
ბანკი:ს.ს. „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია“
ანგN: GEO5VT6500000003033602
ტელ: +995 032 295 08 26
ელ.ფოსტა: pnomermesame@yahoo.com
ნანა შარაშენიძე
გენერალური დირექტორი

Nana Sharashenidze

Digitally signed by Nana Sharashenidze
Date: 2021.02.12 13:25:33 +04'00'

მიმწოდებელი:

შპს ‘’ბიოლენდი’’
ს/კ 204568146
მის: თბილისი , სავანელის ქN7
ბანკის კოდი : BAGAGE22
ა/ა GE38BG0000000333461100
დირექტორი : ლევან შეროზია

BIOLAND LTD
2021.02.12 14:39:46
+04'00'